



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

## მეოთხე სექცია

### განჩინება

საჩივარი № 39726/04

სულხან მოლაშვილი

საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექცია), კომიტეტის 2014 წლის 30 სექტემბრის სხდომაზე, შემდეგი შემადგენლობით:

ლედი ბიანკუ, *თავმჯდომარე*,

პოლ მაჰოუნი, *კრზისზტოფ ვოიტიჩზევი*, *მოსამართლეები*,

და ფატომ არაკი, *სექციის განმწესრიგებელი მოადგილე*,

მხედველობაში მიიღო რა 2004 წლის 27 ოქტომბერს შემოტანილი აღნიშნული საჩივარი,

მხედველობაში მიიღო რა მოპასუხე მთავრობის მიერ 2014 წლის 11 მარტს წარმდგენილი დეკლარაცია, რომელშიც იგი ითხოვს, რომ ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული საჩივარი ამორიცხოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან, და ამ დეკლარაციაზე მომჩივნის პასუხი,

განხილვის შემდეგ, გამოიტანა შემდეგი განჩინება:

### ფაქტები და პროცედურა

1. მომჩივანი, ბ-ნი სულხან მოლაშვილი, არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც დაიბადა 1969 წელს და ცხოვრობს თბილისში. სასამართლოში მას წარმოადგენდა ბ-ნი ი. ბარათაშვილი, ადვოკატი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს თბილისში.

2. საქართველოს მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) წარმოადგენდა ბ-ნი ლ. მესხორაძე, სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან.

### ა. საქმის გარემოებები

3. საქმესთან დაკავშირებული ფაქტები, როგორც მხარეებმა წარმოადგინეს, შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

4. 2000 წლის 30 მაისიდან 2004 წლის 4 იანვრამდე პერიოდში მომჩივანს ეკავა კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანამდებობა. კონტროლის პალატა არის სახელმწიფო უწყება, რომელსაც ევალება სხვადასხვა ორგანოების ფინანსური საქმიანობის კონტროლი. ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე მომჩივანი ჯერ იყო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის აპარატის უფროსი, შემდეგ კი საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი.

5. 2000 და 2003 წლებში კონტროლის პალატამ ჩაატარა იუსტიციის სამინისტროსა და თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ფინანსური ოპერაციების აუდიტი, სწორედ იმ პერიოდში, როცა ამ ორივე ორგანოს, შესაბამისად, მინისტრისა და საკრებულოს თავმჯდომარის რანგში, ხელმძღვანელობდა ბ-ნი მ. სააკაშვილი. აუდიტორულმა დასკვნებმა არსებითი ხასიათის გარკვეული ფინანსური დარღვევები გამოავლინა.

6. 2003 წლის ნოემბრის ეგრეთ წოდებული „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, რომლის შედეგადაც გადადგა ქვეყნის წინა პრეზიდენტი, 2004 წლის 4 იანვარს ბ-ნი სააკაშვილი აირჩიეს საქართველოს ახალ პრეზიდენტად.

7. იმავე 2004 წლის 4 იანვარს, მომჩივანმა სთხოვა საქართველოს პარლამენტს, დაეკმაყოფილებინა მისი განცხადება კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

8. 2004 წლის 22 აპრილს, მისი გამოძახების შემდეგ, მომჩივანი ნებაყოფლობით გამოცხადდა გენერალურ პროკურატურაში დაკითხვაზე. მას მაშინვე წაუყენეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ბრალი და წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. ამის შემდეგ მომჩივანი გადაიყვანეს თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების საპატიმროში.

9. მომჩივნის განცხადებით, ღამე, 2004 წლის 22-დან 23 აპრილამდე თბილისის პოლიციის სამმართველოში მის საკანში შევიდა სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული სამი თუ ოთხი დაუდგენელი პირი, რომლებმაც იგი მჯდომიარე მდგომარეობაში სკამზე ხელბორკილებით მიაბეს და ხერხემალი და მკერდი სიგარეტებით დაუწვეს. საქმის მასალები მის სხეულზე სიგარეტის ნამწვის ნაკვალევს ადასტურებს.

10. მომდევნო დღეს, 2004 წლის 23 აპრილს, ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ მომჩივნის წინასწარი პატიმრობა ძალაში დატოვა. მოგვიანებით, მომჩივანს წინასწარი პატიმრობის ვადა კიდევ რამდენჯერმე გაუგრძელეს.

11. 2004 წლის 23 აპრილს, წინასწარი დაკავების შესახებ ბრძანების გამოცემის შემდეგ მომჩივანი თავდაპირველად თბილისის № 1 დაწესებულებაში მოათავსეს. 2004 წლის 2 ივლისს ის თბილისის მე-7 დაწესებულებაში გადაიყვანეს.

12. 2004 წლის 11 ივნისსა და 2 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა სახელმწიფო ტელევიზიის არხებზე ორჯერ გააკეთა საჯარო განცხადება, რომელშიც მან მომჩივანი კორუფციასა და ქრთამის აღებაში დაადანაშაულა.

13. 2004 წლის 5 ივლისს, მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ გამოძიებას შედეგი არ მოჰყოლია. 2004 წლის 13 ივლისს ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში, საქმეზე პასუხისმგებელმა პროკურორმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მომჩივანმა, აშკარად თვითონ, შეგნებულად ამოიწვა სიგარეტი სხეულზე, რათა სკანდალი გამოეწვია „და ზეგავლენა მოეხდინა საზოგადოებრივ აზრზე და საჩივარი შეეტანა სტრასბურგის სასამართლოში“.

14. 2004 წლის ივლისის შუა რიცხვებიდან დაწყებული, მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობა სერიოზულად გაუარესდა. მას ჩაუტარდა მკურნალობა, რომლის ადეკვატურობის საკითხიც მხარეებს შორის დავის საგანი გახდა. მისი დაკავების მთელი პერიოდის განმავლობაში მომჩივანმა და მისმა ადვოკატებმა რამდენჯერმე გამოთქვეს პრეტენზია ადეკვატური მკურნალობის ნაკლებობასთან დაკავშირებით, მაგრამ სახელმწიფო ხელისუფლების სხადასხვა ორგანოებმა მრავალი აღნიშნული საჩივარი ან არ მიიღო განსახილველად, როგორც დაუსაბუთებელი, ან რეაგირების გარეშე დატოვა.

15. 2004 წლის 12 ივლისს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის მომხსენებელმა საქართველოს საკითხებზე, ბ-ნმა მატეას იორშმა მომჩივანი საპატიმროში მოინახულა. ამის შემდეგ მან გააკეთა საჯარო განცხადება და აღშფოთება გამოხატა იმ საშინელი პირობების გამო, რომელშიც მომჩივანი იმყოფებოდა თბილისის მე-7 საპატიმროში. მოგვიანებით, მომჩივნის დაკავების არასათანადო პირობები ანალოგიურად დაგმო საქართველოს სახალხო დამცველმა.

16. 2005 წლის 18 იანვარს გამოძიება დასრულდა, ხოლო იმავე წლის 21 ივლისს დაიწყო მომჩივნის სასამართლო პროცესი. იმავდროულად, 2005 წლის 4 ივლისს დამოუკიდებელმა ფინანსურმა ექსპერტმა, მთლიანად შეისწავლა რა ის მრავალტომიანი ფინანსური დოკუმენტაცია, რომელიც შეეხებოდა კონტროლის პალატის საქმიანობას მომჩივნის მიერ მისი ხელმძღვანელობის პერიოდში, მოამზადა დასკვნა, რომელშიც გამორიცხული იყო საერთოდ რაიმე სახის დარღვევის არსებობა. მომჩივნის თხოვნით, ის დასკვნა დაემატა სისხლის სამართლის საქმის მასალებს.

17. რამდენიმე სასამართლო სხდომის ჩატარების შემდეგ, რომლის სამართლიანობაც მხარეებს შორის დავის საგნად იქცა იმ ფორმის გამო, რომლითაც სასამართლო

განხილვა ტარდებოდა (კერძოდ, მომჩივანმა ვერ მიაღწია იმას, რომ დაეკითხათ ზოგიერთი მოწმე და ექსპერტი თავისი მხრიდან, ასევე მას უარი უთხრეს უფლებაზე, რომ ზოგიერთ სხდომაზე მისი ინტერესები მის მიერ შერჩეულ ადვოკატს დაეცვა), 2005 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ მომჩივანი გაასამართლა თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, სხვა პირების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების დაფარვისა და სახელმწიფო სახსრების მითვისების გამო. დამნაშავედ ცნობა ეფუძნებოდა კონტროლის პალატის მიერ საქმიანობის არამართლზომიერად განხორციელების რამდენიმე ფაქტობრივ ეპიზოდს. გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული არ იყო 2005 წლის 4 ივლისის აუდიტორულ ანგარიშში მოყვანილი დასკვნები. მომჩივანს ცხრა წლის ვადით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა.

18. 2005 წლის 21 სექტემბერს ადგილობრივი გაზეთის ჟურნალისტთან მიცემულ ინტერვიუში საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას უკვე ნანახი ჰქონდა მომჩივნის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის მასალები და დაზუსტებით შეეძლო დაედასტურებინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 2004 წლის 7 სექტემბერს გამოტანილი განაჩენი დასაბუთებული იყო.

19. მომჩივანმა განაჩენი გაასაჩივრა და 2006 წლის 6 მარტს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ შესწორება შეიტანა მის მიმართ გამოტანილ განაჩენში და მომჩივანი ნაწილობრივ გაამართლა რამდენიმე ეპიზოდთან დაკავშირებულ ბრალდებებში, მაგრამ დაადასტურა მისი ბრალეულობა დანარჩენ ეპიზოდებთან დაკავშირებით. სასჯელის ზომა შემცირდა და შეიცვალა რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

20. ამის შემდეგ მომჩივანმა განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა და უზენაესი სასამართლოს ყურადღება მიაპყრო როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის შესწავლის პროცესში დაშვებულ რამდენიმე სერიოზულ პროცედურულ შეცდომაზე. მოიშველია რა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს მსგავსი სასამართლო პრაქტიკა, მან უკმაყოფილება გამოთქვა, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეიცავდნენ აშკარად მცდარ სამართლებრივ დასაბუთებას.

21. 2006 წლის 18 მაისს, შეიტყო რა სამი მოსამართლისგან შემდგარი უზენაესი სასამართლოს კომიტეტის შემადგენლობის შესახებ, რომელსაც მომჩივნის საკასაციო საჩივარი უნდა განეხილა, მან უკმაყოფილება გამოთქვა, რომ შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის დებულების მიხედვით, მათგან ორი არაიურისტი მოსამართლე არ უნდა ყოფილიყო კომიტეტის შემადგენლობაში. უზენაესმა სასამართლომ აცილების შესახებ ეს თხოვნა უარყო, როგორც არასაკმარისად დასაბუთებული.

22. 2006 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით, უზენაესი სასამართლოს შესაბამისმა კომიტეტმა ხმათა უმრავლესობით მომჩივნის საკასაციო საჩივარი უკუაგდო, როგორც დაუშვებელი და მთლიანად ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება. კომიტეტის წევრმა, ერთ-ერთმა არაიურისტმა მოსამართლე ქალბატონმა გამოთქვა განსხვავებული მოსაზრება და აღიარა როგორც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოცემული სამართლებრივი დასაბუთების ხარვეზი, რომელიც მისი აზრით არ შეიცავდა მომჩივნის ბრალეულობის დამადასტურებელ საკმარის მტკიცებებს, ასევე სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს სერიოზული პროცედურული დარღვევების არსებობა.

## **ბ. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა**

### *1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი*

23. 2012 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ე“ პუნქტი შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

„საბოლოო და აღსრულებადი განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ ... ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება“.

24. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის თანახმად, 310-ე მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად სისხლის სამართლის საქმის ხელახლა განხილვის შესახებ თხოვნის წარდგენისა და მასთან დაკავშირებული საბოლოო ადგილობრივი გადაწყვეტილების გადასინჯვისთვის დაწესებული ვადა შეადგენს ერთ წელს, რომლის ათვლაც იწყება იმ დღიდან, როცა სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში შევა.

*2. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სისხლის სამართლის საქმის ხელახლა განხილვასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა – ქ-ნ ლ. თაქთაქიშვილის საქმე*

25. 2012 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სასამართლომ – *თაქთაქიშვილი საქართველოს წინააღმდეგ საქმე* (იხილეთ საქმე – *თაქთაქიშვილი საქართველოს წინააღმდეგ* (დეკ.), № 46055/06, §§ 13-28, 2012 წლის 16 ოქტომბერი) მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე ამორიცხა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან. აღნიშნული დეკლარაცია მოიცავდა როგორც მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის პროცესის არასამართლიანობის გამო კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის აღიარებას და ფულადი კომპენსაციის შეთავაზებას, ასევე ეხებოდა შესაბამისი საქმის ხელახლა განხილვის მოთხოვნაზე მომჩივნის უფლების

დადასტურებას. მხედველობაში მიიღო რა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ე“ პუნქტის ფორმულირება, სასამართლომ თავის დასაბუთებაში დაადასტურა, რომ ეს დებულება უდავოდ შეიცავდა ეროვნულ დონეზე შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის ხელახლა განხილვის მოთხოვნის პროცედურულ შესაძლებლობას ევროპული სასამართლოს იმ გადაწყვეტილების ან განჩინების საფუძველზე, რომელშიც მითითებული იყო კონვენციის ერთ-ერთი დებულების დარღვევა (იხილეთ ზემოთ ხსენებული განჩინება *თაქთაქიშვილის* საქმეზე, § 22).

26. 2014 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, მხედველობაში მიიღო რა *თაქთაქიშვილი საქართველოს წინააღმდეგ* საქმის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვის შესახებ სასამართლოს 2012 წლის 16 ოქტომბრის ზემოხსენებული განჩინება, გადაწყვიტა ხელახლა განხილული ყოფილიყო ქ-ნ თაქთაქიშვილის წინააღმდეგ აღძრული თავდაპირველი სისხლის სამართლის საქმე, მისი გადასინჯვის მიზნით. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად. მოგვიანებით, ქ-ნი თაქთაქიშვილი გამართლდა კიდევ იმ ბრალდებებში, რომლის საფუძველზე თავიდან იყო გასამართლებული.

## პრეტენზიები

27. მომჩივანმა კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად საჩივარი წარადგინა იმის თაობაზე, რომ ა) მას 2004 წლის 22-დან 23 აპრილის დამეს არასათანადოდ მოექცნენ თბილისის პოლიციის სამმართველოს წინასწარი დაკავების საპატიმროში და არანაირი ქმედითი გამოძიება არ ჩატარებულა ამასთან დაკავშირებით, ბ) რომ დაკავების პერიოდში იგი იმყოფებოდა არაადამიანურ მატერიალურ პირობებში და გ) რომ მისთვის საპატიმროში არ გაუწევიათ ადეკვატური სამედიცინო მომსახურება სხვადასხვა სერიოზული დაავადების სამკურნალოდ.

28. კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე მომჩივანმა საჩივარი წარადგინა იმის თაობაზე, ა) რომ მისი დაკავების ზოგიერთი პერიოდი უკანონო იყო, რადგან ამ პერიოდებზე სასამართლოს არ ჰქონდა გაცემული დაკავების ორდერები, ბ) რომ მისი წინასწარი დაკავების მთლიანი ვადა გაუმართლებლად ხანგრძლივი იყო და არ ეფუძნებოდა დაკავების საკმარისად დასაბუთებულ ორდერებს, და გ) რომ მისი დაკავების საკითხის სასამართლოს მიერ გადასინჯვის ზოგიერთ შემთხვევაში არ არსებობდა სამართლიანობისათვის აუცილებელი მინიმალური გარანტიები.

29. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, მომჩივანმა წარადგინა საჩივარი, საქმის კონკრეტულ და

შესაბამის გარემოებებზე მითითებით, იმის თაობაზე, რომ სასამართლო პროცესზე დაირღვა მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რადგან მას არ მიეცა საკმარისი დრო საქმის მოცულობითი მასალების გასაცნობად; რომ მას არ მისცეს საშუალება, ესარგებლა მის მიერ შერჩეული ადვოკატის დახმარებით და ადგილობრივმა სასამართლოებმა უარი თქვეს მისი მხრიდან ზოგიერთი მოწმისა და ექსპერტის მოსმენაზე. მომჩივანმა საჩივარი წარადგინა ასევე იმის შესახებ, რომ მოსამართლის განჩინებებში მოყვანილი დასაბუთება აშკარად თვითნებური იყო, რადგან სასამართლოებმა ვერ შეძლეს ეპასუხათ დაცვის მხარის ზოგიერთ ძირითად არგუმენტზე, მათ შორის 2005 წლის 4 ივლისის აუდიტორულ ანგარიშში მოყვანილ დასკვნებზე, დაცვის მხარის მიერ გაკეთებულ მითითებაზე. კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, მომჩივანმა კიდევ წარადგინა საჩივარი იმის შესახებ, რომ პრეზიდენტ სააკაშვილისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის საჯარო განცხადებებმა მისი უდანაშაულობის პრეზუმპცია დაარღვია.

30. აღნიშნა რა კონვენციის მე-14 მუხლი, მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან ერთობლიობაში, მომჩივანმა განაცხადა, რომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა იყო პოლიტიკურად მოტივირებული შურისძიება, რომლის ორგანიზატორიც მისი ძველი პოლიტიკური ოპონენტი, პრეზიდენტი სააკაშვილი იყო.

## სამართალი

31. 2011 წლის 9 ნოემბერს აღნიშნული საჩივარი მთლიანად გადაეგზავნა მთავრობას.

32. საქმის მორიგებით დასრულებასთან დაკავშირებით 2010 წლის 27 მაისს დაწყებული მოლაპარაკებების რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, 2014 წლის 11 მარტის წერილით მთავრობამ ევროპულ სასამართლოს აცნობა, რომ მან დააყენა დეკლარაციის შედგენის წინადადება საჩივარში წამოჭრილი პრობლემების მოგვარების მიზნით. მთავრობამ დამატებით სთხოვა სასამართლოს, კონვენციის 37-ე მუხლის შესაბამისად, საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვა.

33. დეკლარაცია შემდეგი შინაარსისაა:

„საქართველოს მთავრობა აღიარებს, რომ, აღნიშნული საქმის კონკრეტულ გარემოებებში, დაირღვა მომჩივნის კონვენციის მე-3 მუხლით, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და მე-3 და მე-4 პუნქტებით, მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით ასევე მე-3 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით და მე-14 მუხლით გათვალისწინებული უფლებები.

წინამდებარე დეკლარაციის ფარგლებში, მთავრობა იღებს ვალდებულებას ეფექტიანად გამოიძიოს მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული ბრალდებები, სასამართლოს მიერ დადგენილი პრინციპების შესაბამისად.

მთავრობა შესაბამისად ადასტურებს, რომ სურვილის შემთხვევაში, მომჩივან ბ-ნ მოლაშვილს უფლება ექნებოდა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად, მოეთხოვა თავდაპირველი სისხლის სამართლის საქმის ხელახალი განხილვა, რათა თავიდან დადგინდეს მის წინააღმდეგ არსებული სისხლის სამართლის საქმით წარდგენილი ბრალდებები.

ზემოაღნიშნულისა და მომჩივნის საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მთავრობა აცხადებს, რომ მზადაა ბ-ნ მოლაშვილს გადაუხადოს 20,000 (ოცი ათასი) ევრო ნებისმიერი მატერიალური და მორალური ზიანის, ასევე ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად. ეს თანხა გადაყვანილი იქნება ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად და იგი განთავსდებოდა ნებისმიერი გადასახადისგან რომელიც შეიძლება დაეკისროს მომჩივანს. ეს თანხა გადახდილი იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების შესახებ შეტყობინების დღიდან სამი თვის ვადაში [...]. აღნიშნული თანხის ზემოაღნიშნულ სამთვიან ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, მთავრობა ვალდებული იქნება, გადაიხადოს ამ თანხაზე დარიცხული ჩვეულებრივი პროცენტი, რომელიც მოიცავს ამ ვადის გასვლიდან გადახდის შესრულებამდე პერიოდს, იმ განაკვეთით, რომელიც შეესაბამება გადაცილებულ პერიოდში არსებულ ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრულ სასესხო განაკვეთს რასაც დაემატება სამი პროცენტი. ამ თანხის გადახდა წარმოადგენს საქმის საბოლოო მოგვარებას“

34. დამატებითი არგუმენტებით, ცალმხრივი დეკლარაციის გასამყარებლად, კერძოდ, იმ ვალდებულების, რომლის მიხედვით სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მომჩივნის უფლება მოითხოვოს თავდაპირველი სისხლის სამართლის საქმის ხელახალი განხილვა მისი გადასინჯვის მიზნით, მთავრობამ სასამართლოს მიუთითა ქ-ნ ლონდა თაქთაქიშვილის საქმესთან დაკავშირებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებაზე (იხილეთ ზემოთ პუნქტები 25 და 26). ამ მაგალითის საფუძველზე მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქმის გადასინჯვის ნებართვის მიღების პროცედურული მექანიზმი სასამართლოს იმ გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელშიც მითითებული იყო კონვენციის დებულების დარღვევა, სრულიად მოქმედი იყო.

35. 2014 წლის 4 აპრილის წერილით მომჩივანმა, რომელსაც სთხოვეს მისი პოზიცია წარმოედგინა მთავრობის მიერ წარმოდგენილ ცალმხრივ დეკლარაციასთან დაკავშირებით, სასამართლოს აცნობა, რომ ამ დეკლარაციაში ჩამოყალიბებული პირობებიდან გამომდინარე იგი თანახმა იყო მისი საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვაზე. მომჩივანმა სასამართლოს სთხოვა იმის უზრუნველყოფა, რომ მორიგების პირობები, კერძოდ, მის მიმართ არასათანადო მოპყრობის ეფექტური გამოძიება და მისი უფლება მოითხოვოს საქმის გადასინჯვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად, განხორციელდეს სათანადო წესითა და დროულად.

36. სასამართლო აცხადებს, რომ მთავრობის დეკლარაციაში შეთავაზებულ პირობებზე მომჩივნის თანხმობის გაცხადების შემდეგ საქმე მხარეებს შორის



არსებითად მორიგებულად უნდა ჩაითვალოს. აქედან გამომდინარე, სასამართლო ცნობად იღებს აღნიშნული მორიგების პირობებს და მნიშვნელობას ანიჭებს მთავრობის სურვილს დაადასტუროს მომჩივნის უფლება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად, საქმის ხელახალი განხილვის მოთხოვნაზე, ასევე მთავრობის ვალდებულებას ეფექტურად ჩაატაროს 2004 წლის 22-დან 23 აპრილის ღამეს მომხდარი ინციდენტის გამოძიება. შეახსენებს რა მომჩივანს, ამ კონკრეტული ვალდებულებების გულდასმით შესრულების შესახებ მისი კომენტარის პასუხად, რომ მორიგების პირობების აღსრულებაზე ზედამხედველობა მინისტრთა კომიტეტის პრეროგატივაა (კონვენციის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტი), სასამართლო დარწმუნებულია, რომ აღნიშნული მორიგება ემყარება ადამიანის უფლებების პატივისცემას, როგორც განსაზღვრულია კონვენციასა და მის ოქმებში, და ვერანაირ გასამართლებელ მიზეზს ხედავს საჩივრის განხილვის გასაგრძელებლად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია, რომ საქმე ამორიცხულ იქნას განსახილველ საქმეთა ნუსხიდან.

ამის გათვალისწინებით, სასამართლომ ერთხმად

*მიიღო გადაწყვეტილება* აღნიშნული საჩივარი, კონვენციის 39-ე მუხლის შესაბამისად, ამორიცხოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან.

**ფატომ არაკი**  
სექციის განმწესრიგებელი მოადგილე

**ლედი ბიანკუ**  
თავმჯდომარე